შ.პ.ს. "დამბა" L.T.D "damba"

Georgia , Tbilisi, marjanishvili 16a tel: 379281, Fax: 379281 Tel(899399971)

N 1/373 10 აგვისტო 2017 წ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილეს
ბ-ნ მირიან ქათამაძეს

ბ-ნო მირიან, როგორც მოგეხსენებათ შპს "დამბა" ასრულებს მ/წლის 12 ივლისს გაფორმებული №205 ხელშეკრულებით სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის ახალი მშენებლობის სამუშაოები.

სამუშაოები მიმდინარეობს კალენდარული გეგმა გრაფიკის, მიხედვით და საპროექტო მონაცემების სრული დაცვით, ადგილობრივი გამგეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სკოლის დირექციის აქტიური ჩართულობით, ასევე თავდაპირველი მოსამზადებელი და პირველადი სამუშაოების წარმოების პროცესში სამინისტროს ზედამხედველის უშუალო მითითებით.

სახარჯთაღრიცხვო მოცულებების შესრულების დროს საჭირო გახდა სამშენებლო მოედანზე დემონტირებული მასალების დასაწყობება, რომელიც არც თუ ისე მცირეა და იკავებს აუცილებლად საჭირო საწარმოო ფართს. სხვა ადგილის მითითების შემთხვევაში შემსრულებელი მზადაა საკუთარი ძალებით მოახდინოს დემონტირებული მასალების ტერიტორიიდან გატანა და მითითებულ ადგილზე დასაწყობება.

ასევე მოგახსენებთ რომ მიწის სამუშაოების მოცულობა ქვაბულში წარმოადგენს ძალიან დიდ რაოდენობას, რომელიც არ იძლევა საშუალებას დასაწყობდეს სამშენებლო ტერიტორიაზე მისი სიმცირის გამო.

ასევე მოგახსენებთ, რომ ქვაბულის დამუშავების დაწყების მომენტშივე გარკვეულ ადგილას გრუნტში აღმოჩნდა მიწის

შემცველობა დიდი ოდენობით, რომელიც ჩვენი შეხედულებით საჭიროებს შეცვლას ბალასტით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ შეისწავლოთ აღნიშნული საკითხები. სათანადო სამსახურებთან ერთად და გვაცნობოთ წერილობით.

პატივისცემით

შპს „დამბა"-ს დირექტორი: გ. ჯაბიძე